ШПС საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

№ 00006027

17/06/2024

"შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ პროფესიულ სტუდენტებთან დასადები ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების თაობაზე" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N4592 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება "შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ პროფესიულ სტუდენტებთან დასადები ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების თაობაზე" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N4592 ბრძანებაშიდა ბრძანებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს ახალი დანართით.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი სოფიო

საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება

ქ. გორი ------- 20--- წელი

ერთი მხრივ, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი (შემდგომში - "კოლეჯი") წარმოდგენილი დირექტორის ---------- სახით, ხოლო, მეორე მხრივ, კოლეჯის --------- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ფიზიკური პირი _____ პირადი № _____ (შემდგომში "პროფესიული სტუდენტი") ("კოლეჯი" და "პროფესიული სტუდენტი" შემდგომში ერთად მოიხსენიება როგორც "მხარეები"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი უკვეთავს კოლეჯს პროფესიული განათლების სფეროში მომსახურებას, ხოლო კოლეჯი უწევს პროფესიულ სტუდენტს პროფესიული განათლების მომსახურებას.

2. მხარეების უფლებები და ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის წესდებით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით (შემდგომში - „მარეგულირებელი ნორმები").

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას იცნობს მათ შინაარსს და ეთანხმება, ხოლო კოლეჯი იღებს ვალდებულებას, რომ მათი შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის ვებ-გვერდზე ან/და კოლეჯის შენობაში საჯარო ადგილას გამოქვეყნებით.

4. ამ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით პროფესიული სტუდენტი აღიარებს რომ ინფორმირებულია კოლეჯში ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენების შესახებ და იცნობს საკუთარ უფლებებს ვიდეოთვალთვალის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. კოლეჯი ვალდებულია:

ა) გასწიოს პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურება სასწავლო წლის განმავლობაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხარისხიანად და სრულყოფილად;

ბ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

გ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩამოყალიბება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის წარმატებით დასრულებისა და კვალიფიკაციის მისანიჭებლად კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში, მიანიჭოს კურსდამთავრებულს მიღებული პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია და მისცეს მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი;

ე) შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მარეგულირებელი ნორმებით გათვალსწინებული სხვა ვალდებულებები.

2. კოლეჯი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სპროფესიულ ტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესრულება;

ბ) მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების განუხრელი დაცვა. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასვას საკითხი პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის ღირსებისა და პრესტიჟის დაცვა;

დ) დაამუშაოს პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, საქართველოს კანონმდებლობით კოლეჯისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად;

ე) შესაბამისი დასაბუთებით, შეცვალოს ან გააუქმოს პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პირობით.

3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმებით გათავალისწინებული მოთხოვნები;

ბ) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები პირადად და არ გადასცეს ისინი სხვა პირებს;

გ) შეასრულოს კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, შეისწავლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მოდულები;

დ) გაუფრთხილდეს და დაიცვას კოლეჯის ქონება და ზიანის მიყენების შემთხვევაში სრულად აანაზღაუროს იგი; არ შეუქმნას საფრთხე სხვათა ჯანმრთელობას და არ დააბრკოლოს სხვათა უფლებების რეალიზაცია;

ე) დაესწროს მეცადინეობებს, პრაქტიკულ სამუშაოებს და დადგენილ ვადებში შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სამუშაოები;

ვ) იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი არ გამოცხადდა/არ დაუდასტურდა შედეგი განმეორებით გამოცდაზე მოდულის წინაპირობების დაცვით, გადაიხადოს დამატებითი გამოცდის ფასი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) კოლეჯისაგან მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი, ხარისხიანი და სრულყოფილი საგანმანათლებლო მომსახურება;

ბ) კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მოითხოვოს მისი აღდგენა მოქმედი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი წესით.

5. თუ პროფესიული სტუდენტი არ გამოცხადდა/არ დაუდასტურდა შედეგი განმეორებით გამოცდაზე მოდულის წინაპირობების დაცვით, უფლება ეძლება განცხადებით მიმართოს კოლეჯს, რომლის საფუძველზე სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ნიშნავს დამატებით გამოცდას, რომელიც ფასიანია. დამატებითი გამოცდის ფასია 50 (ორმოცდაათი) ლარი.

6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომელიც ცნობილი გახდა ხელშეკრულების გაფორმებისა და საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, კოლეჯის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში (მაგ.: მისი პირადი საქმის წარმოებისას, საჭიროებიდან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის (გადატანილი დაავადებები, ჩატარებული აცრები და ა.შ) შეგროვებისას, მონაცემთა ბაზის ფორმირებისას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ან სხვა საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნით ინფორმაციის დამუშავებისას და ა.შ).

7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი თანხმობას აცხადებს კოლეჯმა კოლეჯის ან/და არა კოლეჯის აქტივობების (მაგ.: საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესი, ექსკურსია, გასვლითი შეკრებები, კოლეჯის დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, შეჯიბრებები და ა.შ) მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი ფოტო/ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა. ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს ან/და გამოიყენოს საჭიროებისამებრ, მაგალითად, კოლეჯის ცნობადობისა და პოპულარიზაციის მიზნით განათავსოს სოციალურ მედიაში, ინტერნეტ სივრცეში, გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას ორგანიზაციის ტერიტორიასა თუ სხვა სივრცეებში ან გამოიყენოს სხვადასხვა კვლევისთვის.

8. პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა წაშლა ან/და განადგურება.

9. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორების, განახლების ან/და შევსების მოთხოვნის შესაბამისად არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) მოახდინოს ასეთი ინფორმაციის გასწორება, განახლება ან/და შეშევსება ან პროფესიული სტუდენტს აცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განუმარტოს უარის გასაჩივრების წესი.

10. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია პროფესიული სტუდენტიდ მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და წაშალოს ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი და თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც პროფესიული სტუდენტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

11. პროფესიული სტუდენტი გაეცნო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესს, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N00010672 ბრძანებით და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების განმავლობაში.

2. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება (საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა) დროებით ჩერდება, რაც არ იწვევს მომსახურების გაწევის დასრულებას (ხელშეკრულების შეწყვეტას). სტატუსის შეჩერების შემთხვევაში კოლეჯის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა) განახლდება პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი წესით სტატუსის აღდგენისთანავე.

3. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის ან მობილობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოლეჯის ვალდებულებების შესრულება (საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა) სრულდება და შესაბამისად წყდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებაც.

4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კოლეჯის ინიციატივით ცალმხრივად და უპირობოდ პროფესიული სტუდენტის მხრიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების დარღვევის საფუძველზე.

მუხლი 4. დავის გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სახის უთანხმოება რეგულირდება ურთიერთმოლაპარაკების გზით კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

2. მხარეებს შორის უთანხმოების მოლაპარაკების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი **პროფესიული სტუდენტი**

ტელ.:----------

ხელმოწერა----------

---------- **კანონიერი წარმომადგენელი**

სახელი, გვარი----------

პირადი N----------

ხელმოწერა----------